№ 94
სამშაბათი, 1 მაისი, 1901 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 94
სამშაბათი, 1 მაისი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაძისა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურთა ქარვასლაში.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის საავადმყოფოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

(100—43—15)

ტფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში 5 მაისს 1901 წელს გამართულ იქმნება

კონცერტი

ე. გ. სარაჯიშვილისა ქნთ გ. ი. მარტინოვისა, ტ. ი. ტერ-სტეფანოვისა და ბ.ბ.ნთ მ. ტ. ვასილიევისა, ლ. კ. ლიუდვიგოვისა, თავ. ი. ა. ბარათაშვილისა და ს. მგალობლიშვილის მონაწილეობით.

ბილეთები ისყიდება არტისტიულ საზოგადოების თეატრის კასსაში და ნინო ნიკოლოზის ასულ კნეინა ორბელიანისას, ალექსანდრეს ქუჩა, № 6. (3—უ.—1)

წმ. ნინოს სახელობის თელავის დედათა საქველ მოქმედო საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ **თელავის დედათა წმ. ნინოს სასწავლებელში** ამა მიმდინარე სამოსწავლო წელს ორი **საიმპერატორო** სტიპენდიანტი ამთავრებს სწავლას. განთავისუფლებულ ვაკანსიებზედ **ახალ სტიპენდიანტების მიღება მოხდება ამა მიმდინარე წლის 3 ივნისს კენჭის ყრით.** თხოვნები საჭირო საბუთის ქაღალდებთან ერთად უნდა გაიგზავნოს გამგეობის სახელობაზედ. თხოვნები 20 მაისამდე მიიღება.

(3—უ.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ექიმ ბედოევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ ბედოევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. ბედოევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

პ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეჟთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. ვ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, თავისის თხოვნის თანახმად, ავადმყოფობისა გამო დუშეთის მაზრის უფროსი ალექსი მესხიშვილი.

დანიშნულ იქმნა ერევნის საგუბერნიო გამგეობის კანცელარიის მოხელე კალანდარიშვილი ნახიჩევანის მაზრის 1-ლ ნაწილის პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებლად.

გამწესებულ იქმნენ: მიხეილ გიორგაძე ერევნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად და ივანე ბალთაშვილი და კონსტანტინე თოდია ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონებად.

გადაყვანილ იქმნა ჭიათურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მე-6 კლასის მოხელე აკაკი ტყეშელაშვილი ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში იმავე თანამდებობაზედ.

ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის საპედაგოგიო საბჭოს გადაუწყვეტია იყიდოს ვერაზედ, სათავად-აზნაურო სკოლის ახლოს, 7 დესიატინა მიწა, რომელიც მკურნალთა მიერ მოწონებულ იქმნა მდებარეობისა და ჰავის მხრით, და იქ ააშენოს სემინარიისათვის ახალი სადგომი. იგივე გამგეობა ვერაზედ წინად შეძენილს ადგილს ჰყიდის.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მამა სტეფანე ოთხშაბათს, 25 აპრილს, დილით წავიდა პეტერბურგში სემინარიის საქმეთა გამო.

*** ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში კლასიდგან კლასში გადასაყვანი გამოცდა დაიწყება 7 მაისიდგან და გასტანს ამავე თვის ბოლომდე.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში კლასიდგან კლასში გადასაყვანი გამოცდა დაიწყება 1 მაისიდგან და გასტანს ამ თვის დამლევამდის. 1 მაისს ყველა კლასში გამოცდაა თხზულებაში; სხვათა შორის მეოთხე კლასის მოწაფეებმა უნდა დასწერონ თხზულება საქართველოს საეკკლესიო ისტორიიდგან რუსულს ენაზედ.

*** დღეს, 1 მაისს, ტფილისის კრუჟოკში კონცერტსა ჰმართავს ჩვენი თანამემამულე ახალგაზდა მომღერალი ბ-ნი ი. პ. ტომაშევიჩი (ბასი). ბ-ნს ტომაშევიჩს მუსიკალური სწავლა მიუღია იტალიაში პროფესორის მაცოლის ხელმძღვანელობით და ამ ბოლოს დროს კიევის ოპერის სცენაზედ უმღერია. კონცერტში მონაწილეობასვე მიიღებენ ქ-ნი ლევინისა და ბ-ნნი ბოჩკოვი და ბუში. საკონცერტო პროგრამმა კარგად არის შედგენილი. იმედია, საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ყმაწვილის კაცის კონცერტს, რომელსაც სწავლის განგრძობა აქვს თურმე განზრახული.

*** შავი-ქვის მწარმოებელთა საბჭოს შუამდგომლობის თანახმად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ნება დაურთავს ჭიათურის შტოზედ კერძო ორთქლმავალთა მიმოსვლისა, მხოლოდ მისავალ გზის („ПОДЪѢЗДНОЙ ПУТЬ) საზღვართა შორის და არა გარეშე ამ გზისა; კერძო ვაგონებით სარგებლობა შეუძლიანთ აგრეთვე მხოლოდ იმათ, ვისაც ჭიათურის შტოზედ საკუთარი მისავალი გზები აქვთ.

*** სომხურ თვიურ ჟურნალ „მურჰის“ უკანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი ამ სათაურით: „ქართულის მწერლობიდამ“. ამ ნომერში დასაწყისია დაბეჭდილი.

*** კვირას, 29 აპრილს, ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება მოხდა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების 1900 წლის ანგარიში და 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და აარჩია კომისია საზოგადოების წესდების გადასათვალიერებლად და ზოგიერთა მუხლების შესაცვლელად. შემდეგ მოხდა არჩევნები გამგეობისა, სარევიზიო ზედამხედველის კომისიების წევრებისა. გამგეობის წევრად ნ. ტიგრანოვის ნაცვლად არჩეულ იქმნა თავ. ი. გ. ბებუთოვი; კანდიდატად ნ. ა. გრიქუროვი; ზედამხედველის კომიტეტის წევრებად: ნ. ოსტროგორსკი და ი. მელიქ-ბეგლიაროვი, ხოლო მათ კანდიდატად—ი. მ. ალიხანოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად—მ. რ. დოლუხანოვი და გ. ი. თამამშევი.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია აბაშის სამარხ კასის წესდება.

*** 28 აპრილს ქალაქის თვით მმართველობის მოსამსახურეთა კრება მოხდა საპენსიო კასის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ დაადგინა დააარსოს საპენსიო კასა, რომლის პროექტი უკვე შემუშავებულია.

*** ქუთაისი. 26 აპრილს კნეინა მარიამ ონისიმეს ასულის ერისთავის მოთავეობით გამართულ იქმნა ქუთაისის კლუბში, სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ, სალამო ალექსი-მესხიშვილის უსასყიდლო მონაწილეობით. წარმოადგინეს რუსული დრამატიული ეტიუდი „Не надо“. ამას გარდა ქ-ნმა ძნელაძისამ და ბ-ნმა აგასოვმა შეასრულეს რამდენიმე ქართულ-რუსული რომანსი. მერმე წაკითხულ იქმნა ქართული სცენები; დასასრულ ცეკვა გაიმართა. სულ შემოსავალი 800 მანეთამდე ავიდა. ხარჯს გარეშე, მოსალოდნელია 600 მანეთი დარჩეს.

*** სამ მაისისათვის დანიშნულია ქალაქის თვით-მართველობის მოსამსახურეთა შემნახველ გამსესხებელ კასის წევრთა კრება, რომელზედაც უნდა აირჩიონ ახალი წევრნი.

*** დღეს ოლგას სახელობის ინსტიტუტში ეგზამენები დაიწყება.

*** ს. მარტყოფის ტაძრის გზაში მდებარე 101 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა დაუთმო ადგილობრივს სამრევლო-საეკკლესიო სკოლას.

*** ტფილისის მიხეილის სატეხნიკო რკინის გზის სასწავლებელში ეგზამენები 11 მაისს დაიწყება და 28 მაისს დასრულდება.

*** ტფილისის დიდის ქარხნის პატრონს მეტეველს უთხოვნია კავკასიის სამკურნალო და სამრეწველო გამოფენის კომისიისათვის დაუთმოს ადგილი პავილიონის გასამართავად.

*** რაც ეს წვიმები დაიწყო, მას შემდეგ, დიდი უბედურება ჩამოვარდა კუკიის ზემოდ, წმ. ნინოს ეკკლესიის სასაფლაოს უბნებსა და ნაძალადევში. აქ ტალახი არშინობით სძევს და არამც თუ მოსწავლე ბავშვებს, დიდებსაც უძნელდებათ სიარული.

*** 27 აპრილს ტფილისსა და ნავთლუღს შორის მატარებლის № 161-ის ვაგონიდგან № 337468 ვიღამაც რამდენიმე ხალიჩა მოიპარა წონით 4 ფუთი და 36 გირვანქა.

*** 28 აპრილს აღ-ტაღლიასა და ნავთლუღს შუა მიმავალ მატარებელში № 166 უეცრად გარდაიცვალა მგზავრი მიხეილ შერმაზანოვი.

ეროვნული

⁂ როგორც მინგიჩაურის სადგურიდგან გვატყობინებენ, 29 აპრილს, მატარებლის № 177 წასვლის შემდეგ სადგურის მახლობლად ლიანდაგზედ უნახავთ განჯის გიმნაზიის მოსწავლე შაროგრადსკი, რომელსაც მატარებელზედ ახტომის დროს მარცხენა ფეხი დაშავებია. დაშავებული განჯის სამკურნალოში იქმნა გაგზავნილი.

⁂ როგორც რკინის გზათა გამგეობამ განმარტა, მოსაზღვრე დარაჯის მოხელეთა ჩქარ-მოსიარულე მატარებლებში უფასოდ მიმოსვლის დროს უნდა წარადგინონ ხოლმე გარდა წლიურის ბილეთისა და მოწმობისა, აგრეთვე ცალკე მოწმობები თვითოეულ-ჯერ მიმოსვლისა, ჯეროვანის უფროსის-მიერ ხელ-მოწერილი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.

29 აპრილი

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება დაიწყო გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დავით ზაქარიას ძის მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარემ კრების დაწყებისათანავე, აღნიშნა-რა განსვენებულის მხცოვანის პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის ხანგრძლივი მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე, სთხოვა კრებას პატივი ეცა განსვენებულის სახელისათვის ფეხზედ წამოდგომით. კრებამ ერთობით აღასრულა თავმჯდომარის წინადადება. კრებამ აგრეთვე მიიღო თავმჯდომარის შუამდგომლობა—განიხილოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან 100 წლის შესრულების გამო საიუბილეო დღესასწაული გადაიხადონ მათ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობასთან ერთად.

შემდეგ წაკითხულ იქმნა წარსულ კრებაზედ ამორჩეულ სარევიზიო კომისიის მოხსენება თავად-აზნაურთა მამულის გამგე-კომისიის მოქმედების შესახებ. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, თავად აზნაურობამ გადასწყვიტა, რადგანაც თეატრი ზარალის მეტს არაფერს იძლევა, დახუროს იგი 8 წლის განმავლობაში და შემდეგ სრულიად გადააკეთოს როგორც თეატრი, აგრეთვე მთელი ქარვასლა; ხოლო დრამატიულ საზოგადოებას აძლიოს ყოველ წლობით 2-დგან 3,000 მანეთამდე. ამ დადგენილების მიუხედავად მამულის გამგეობამ, კრების დაუკითხავად, შეაკეთა თეატრი და პირობით შეეკრა „უნიონის“ საზოგადოებას. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია წარსული წლის ნოემბრის კრებაზედ. მაშინ მთელი ამ საქმის გამორკვევა კრებამ მიანდო სარევიზიო კომისიას, რომელიც თავის მოხსენებაში განმარტავს, რომ გამგეობამ თვისის ნებით 30,000 მ. ფული დახარჯა თეატრის კიბის მისაშენებლად და საელექტრონო სადგურის ასაშენებლადაო; ამისდა მიუხედავად შენობა უყურადღებოდ არის აგებული, კომისიის გამოანგარიშებით ზარალი თავად-აზნაურობას 8,000 მან. მოუვიდა, რაც არ მოხდებოდა, ჯეროვანი ყურადღება რომ მიექციათ მუშაობის დროს. გამგეობამ კიბის გაკეთებით დაამახინჯა ეზო და ამ კიბისავე წყალობით რამდენსამე მაღაზიას ფასი დაეკარგა. ამას გარდა, გამგეობის საქმის წარმოებაში დიდი უწესოება შეუმჩნევია კომისიას, მაგალ., ფულის დავთრები უზონაროდ და დაუბეჭდელი ყოფილა. გამგეობის სხდომების ოქმები დროზედა და რიგიანად არაა შედგენილი და სხვა. სარევიზიო კომისია აგრეთვე დიდს ზარალს ხედავს „უნიონთან“ ხელშეკრულების დადებით და ამბობს, კარგი იქმნება დაირღვეს ეს ხელშეკრულება, თუ შესაძლებელი იქმნებაო. სარევიზიო კომისია გამგეობის უყურადღებობას აღნიშნავს აგრეთვე მამულის მართვის საქმეში; იმ ზომამდე უყურადღებოდაა მიტოვებული ქარვასლა, რომ ზოგგან წვიმაც ჩამოდის და სხვ.

ყველა ამის გამო, თავად-აზნაურთა კრების მონდობილებით, კომისიამ შეიმუშავა ახალი პროექტი მამულის მართვა-გამგეობისა. თვით გამგეობა სასარგებლოდ სცნობს „უნიონის“ საზოგადოებასთან დადებულ ხელ შეკრულებას და ყოველ წლობით 4500 მანეთს სარგებლობას მოელის. გამგეობა აცხადებს, რომ, თუ ვინიცობაა საზოგადო კრება საჭიროდ დაინახავს ამ ხელშეკრულების დარღვევას, მაშინ იგი თავის თავზედ არ მიიღებს იმ შედეგის პასუხის მგებლობას, რომელიც მოსალოდნელია ამას მოჰყვეს.

სარევიზიო კომისიის მოხსენებაზედ გამგეობის ერთმა წევრმა თავ. მაყაშვილმა წარადგინა განმარტებანი; თითქმის ორი საათი ილაპარაკა ამ საგნის გამო მაყაშვილმა. იგი ამტკიცებდა, რომ არამც თუ რაიმე ზარალი, თავად-აზნაურობას მოგებაც-კი ექმნება 9—13 ათას მანეთამდე, იმ 24,000 მანეთის გარდა, რომელიც თეატრის დაკეტის შემდეგ თავად-აზნაურობას უნდა მიეცა დრამატიულ საზოგადოებისათვის წარმოდგენების გასამართავადაო. დიდი კამათი გამოიწვია სარევიზიო კომისიის მოხსენებამ და გამგეობის წევრთა განმარტებამ, რადგანაც პირველი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ 30,000 მანეთია დახარჯულიო, მეორენი-კი მხოლოდ 22,500 მანეთს სთვლიდნენ. ზოგმა მოითხოვა, რომ ამ საქმის გამორკვევა ზედამხედველ კომიტეტს მიენდოს, რომელმაც შემდეგ კრებისათვის უნდა წარმოადგინოს მოხსენებაო; ზოგმა განაცხადა, რომ საჭიროა ეს საქმე ამ კამათით გავათავოთ, მხედველობაში მივიღოთ სარევიზიო კომისიის მოხსენება და შევუდგეთ კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის განხილვას მამულის ახალის მმართვა-გამგეობის შესახებაო; კამათი გაგრძელდა საღამოს 7 საათამდე. ბევრი სხვა-და-სხვა მოსაზრება წარმოითქვა. დასასრულ კრებამ, თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის წინადადებით, მიიღო რა სახეში ის გარემოება, რომ მთელი ქონება თავად-აზნაურობისა უნაკლულოა, დაადგინა: მადლობა გამოეცხადოს რევიზიონის კომმისიას შრომისათვის, ანგარიში და მოხსენება მიიღოს მხედველობაში და შეუდგეს განსახილველად ინსტრუქციისა სათავად-აზნაურო მამულებისა და ქონების განსაგებად.

თეატრის მატიანე

„პეპოს“ 30 წლის იუბილეი.

კვირას, 29 აპრილს, ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებმა წარმოადგინეს ბ-ნ გ. ნ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“ ამ პიესის დაწერიდგან 30 წლის შესრულების სახსოვრად. თეატრი მშვენივრად იყო ამ საღამოთი მორთული; კედლებზედ გაკრული იყო ქაღალდები ბ-ნ სუნდუკიანცის პიესების სახელების ზედწარწერით. ქაღალდებს ყვავილების ხვეულები ჰქონდა შემოვლებული. ნიჭიერ და დამსახურებულ დრამატურგის პატივსაცემად დიდძალი ქართველობა და სომხობა შეიკრიბა; თეატრი სავსე იყო ხალხით. დაესწრო წარმოდგენას თვით ავტორი პიესისა, პატივცემული გაბრიელ ნიკიტის ძე სუნდუკიანცი.

წარმოდგენაში ამ საღამოთი ტფილისის დასის ყველა არტისტები იღებდნენ მონაწილეობას: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ნებიერიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი და სხვანი. პიესამ მშვენივრად ჩაიარა. იშვიათის მხატვრობით და ნიჭით დაგვიხატეს ქართველმა არტისტებმა ბ-ნის სუნდუკიანცის პიესის ტიპები. განსაკუთრებით საუცხოვოდ წარმოადგინეს როლები ქ-ნმა მ. საფაროვმა-აბაშიძისამ „მოდით“ გატაცებულ მდიდარ ზიმზიმოვის ცოლის ეფემიასი, ვ. აბაშიძემ—გაიძვერა, სხვათა მოტყუებით გამდიდრებულ ზიმზიმოვისა, გაბუნია-ცაგარლისამ—პეპოს დედისა და ყიფიანმა—გულუბრყვილო, ალალ-მართალის გიქოსი. კარგი იყო აგრეთვე პეპოს როლის აღმასრულებელი ბ-ნი სვიმონიძე.

წარმოდგენის შემდეგ შეუდგნენ ადრესებისა და სიტყვების წარმოთქმას. ფარდის ახდისას საზოგადოებამ ფეხზედ ადგომითა და ხანგრძლივის ტაშის დაკვრით სცა პატივი ბ-ნ სუნდუკიანცს, რომელიც თავის ოჯახობით ლოჟაში იმყოფებოდა; შემდეგ დრამატიულ საზოგადოების სახელითა და მინდობილობით მიჰმართა მას ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. სულხანიშვილმა, რომელმაც, აღნიშნა-რა დრამატურგის ნაყოფიერი და ხანგრძლივი მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზედ და ის სამსახური, რომელიც მან თავისის მაღალ-აზრიანის პიესებით ქართველ საზოგადოებას გაუწია, მადლობა გარდაუხადა ამ საზოგადოების მხრივ. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ტფილისის სახაზინო თეატრის დირექციის წარმომადგენელმა ბ-ნმა ოპოჩინინმა. ოპოჩინინმა მიულოცა ავტორს „პეპოს“ დაწერიდგან 30 წლის შესრულება, აღნიშნა მოკლედ დრამატურგის სამსახური სომხურ-ქართულ-რუსულ თეატრის წინაშე და ისურვა თეატრისა და ხელოვნების ნიადაგზედ რუსებისა, ქართველებისა და სომხების დაახლოვება. მერე აბაშიძემ ქართველი არტისტების მხრივ წაიკითხა ადრესი. აბაშიძემვე წაიკითხა ბ-ნის ლიუდვიგოვის წერილი, რომელშიაც ამ ჟამად ტფილისში მყოფი რუსული დრამატიული დასი ულოცავდა სუნდუკიანცს. ადრესები წაიკითხეს აგრეთვე სახალხო თეატრის სომხურ, რუსულ და ქართულ სექციის წარმომადგენლებმა. სომხურმა სექციამ მიართვა ბ-ნ გაბრიელს გვირგვინი, ხოლო ქართულმა—მშვენიერი ლირა, ცოცხალის ყვავილებისაგან გაკეთებული. შემდეგ რუსულს ენაზედ წარმოთქმულს სიტყვაში ბ-ნი კ. ყიფიანი უფრო ვრცლად შეეხო სუნდუკიანცის მოღვაწეობას, იმის პიესებს, ტიპებს, ამ პიესებში გამოყვანილს, აღნიშნა, რა სამსახური გაუწია სუნდუკიანცის პირველმა პიესებმა ქართულის თეატრის აღორძინებასა და სამუდამო დასის დაარსებას და სხვ. წაიკითხეს მერე მისალოცი დეპეშები. დეპეშები მიღებულ იქმნა ქუთაისის ქართულ დასისაგან, ამ ჟამად დაბა-ქალაქებში წარმოდგენების გასამართავად წასულ მესხიშვილისა და გუნიას დასისაგან, ბაქოს ქართველებისაგან, ერევნის ქალაქის მოურავისაგან, განჯის ქართველებისაგან, ეფემია მესხისაგან. დასასრულ კ. მესხმა წაიკითხა ლექსი. ადრესების წაკითხვის შემდეგ მხცოვანი დრამატურგი სცენაზედ გამოვიდა და დიდი მადლობა გადაუხადა როგორც საზოგადოებას, აგრეთვე არტისტებს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გულ-წრფელი აღტაცება, რომლითაც საზოგადოება ეგებებოდა ყოველს სიტყვას, ადრესსა და ლექსს, ამ საღამოთი წარმოთქმულს.

წინა დღეს, შაბათს, 28 აპრილს, ასეთივე სადღესასწაულო წარმოდგენა გაიმართა სახალხო თეატრში. სცენის-მოყვარეთ იქაც მშვენივრად წარმოადგინეს „პეპო“. ხალხი იმდენი მიაწყდა წარმოდგენას, რომ ბევრი უადგილობისა გამო უკან დაბრუნდა. ბ-ნი გაბრიელ ნიკიტის ძე ამ წარმოდგენასაც დაესწრო. ხალხი იქაც აღტაცებითა და ტაშის ცემით მიეგება მხცოვან დრამატურგს. წარმოდგენის შემდეგ გრიგოლ ყიფშიძემ ვრცელ სიტყვაში დაახასიათა გაბრიელ სუნდუკიანცის მოღვაწეობა.

ვბეჭდავთ აქვე სახალხო წარმოდგენების ქართულ სექციის ადრესს, რომელიც სუნდუკიანცს 29 აპრილის წარმოდგენაზედ მიართვეს:

„ღრმად პატივცემულო, ბატონო გაბრიელ!

დღევანდელ ღირს-შესანიშნავ დღეს, თქვენის „პეპოს“ ოც-და-ათის წლის შესრულების გამო, ნება გვიბოძეთ ჩვენ, სახალხო სცენის მოყვარულთაგან წარმოგზავნილთ, გამოგიცხადოთ, უუპატივცემულესო ბ-ნო გაბრიელ, უღრმესი სიმპატია და მადლობა თქვენის სამსახურის გამო წინაშე ჩვენის სახალხო სცენისა.

„ჩვენი სახალხო სცენა მხოლოდ ეხლა იფურჩქნება და მხოლოდ მაშინ შეიქნება ნაყოფიერი, როდესაც მწერალი პიესებში ნათლად გამოხატავს ხალხის ცხოვრებას ყოველის მისის ღირსებისა და ნაკლულევანებანით.

„ამ მხრივ თქვენმა მაღალმა გონებამ, მხატვრულმა შემოქმედობამ და ცხოვრების ღრმა დაკვირვებამ ისეთი სინამდვილით და სიცხოვლით დაგვიხატა ხალხის სული და გული, რომ მის მიერ დასურათებული ტიპები თვალწინ ცოცხლად გვიდგანან. თქვენ თვალს უხელთ ხალხსა და ეუბნებით, რომ, მიუხედავად მისის შევიწროებისა და გონებითის განუვითარებლობისა, მას აქვს უმაღლესი ღირსებანიც: გულწრფელობა, სიალალ-მართლე და კეთილ-შობილება სულისა.

„აი სწორედ ეს თვისებანი სულისა არის მკვიდრი საწინდარი უკეთესის მომავლისა.

„თქვენ გულით მიითვისეთ მდაბიო ხალხი და ეს მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც ხალხის ჭირ-ვარამი თავისად მიაჩნია, ვინც [illegible] ხილითა სწუხს და ხალხის საკეთილდღეო ზრუნვით გამსჭვალულია.

„მგრძნობიარე გული და მხურვალე სიყვარული მუდმივი თანამგზაური იყო თქვენის ნაყოფიერის შრომისა.

„და აი, რამ გამოიწვია თქვენდამი ხალხის აღტაცება, სიყვარული, პატივისცემა და მადლობა.

„დღეს შეუსრულდა თქვენს „პეპოს“ ოც-და ათი წელიწადი. „პეპოს“ ძმანი და შვილნი აქ მყოფ საზოგადოებასთან ერთად დღესასწაულობენ ხელოვნების გამარჯვებას“!..

დაბა სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კლდის-წყარო, (გორ მაზრა, სურამის საბოქაულო). აპრილ 9-ს, გლეხის ზაქარა გონგლაძის სახლ-კარი და ყოველივე ქონება ცეცხლმა ამ სხვერპლა და მთელი ოჯახი საწყალი გლეხისა 11 სულით უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო.

9 აპრილს, შუადღისას, გლეხის ზაქარა გონგლაძის სახლს, როდესაც სახლში გასათხოვარი ქალის მეტი არავინ იყო, მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა და სულ სამ-ოთხი საათის განმავლობაში ქარისაგან გაძლიერებულმა ცეცხლმა მთლად შთანთქა ხუთი თვალი ოთახი, სათონე, საქათმე, სადორე და ს.

საუბედუროდ ამ დროს სოფლის დანარჩენი მცხოვრებნიც (სულ 21 კომლი) მინდვრებში ყოფილან გაფანტულნი და სანამ მოვიდოდნენ და უშველიდნენ რამეს, ყავრით დახურული მეზობლის შენობები ცეცხლში იყო დაფარული და იბუგებოდა, ასე რომ ხალხმა გაძლიერებულ ცეცხლს ვეღარა უშველა-რა და შეშინებულნი შორი-ახლოს დარბოდნენ, წყვიროდნენ და რადგანაც სამანელს ქარს ანთებული ყავრები და ცეცხლები სხვა მეზობელ სახლებზე გადაჰქონდა და ცეცხლს უჩენდა, ამით და ჭპატრონობდნენ, უქრობდნენ ცეცხლს.

სურამიდგან წამოსულს გონგლაძე მორიდგანვე შეენიშნა ძლიერი ცეცხლი სოფელში და უცებ შიშისა და გლ ზარს მოეცვა იგი, რადგანაც ეფიქრა, ვინ იცის, იქნება ჩემი სახლიც იწვისო.

ამ დროს სოფლიდგან ქალები მოდენილან, რომლებისთვისაც უკითხავს: მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ვისი სახლი იწვის, ან რომელ ადგილას და მხარეს უკიდია ცეცხლიო. როდესაც ამათ აუხსნიათ, ამა და ამ ადგილას იწვის სახლი, მაშინ-კი ნათლად წარმოუდგენია, რომ სწორედ ამ უბედურის სახლს უკიდია ცეცხლი და იქვე მოჰკვეთია მუხლები და ჩაუჩოქნია. რამდენიმე წუთის შემდეგ ძლივს გონს მოსულა წამომდგარა, მაგრამ ძალა-მიხდილი და მუხლ-მოჭრილი, ზარ-დაცემული მთვრალივით ფარფატით-და [illegible] რის გაა-გაკლახით სოფლამდე. მისულა იმ დროს, როცა მთელი სახლ-კარი ძირს დაცემული და გადუგებული ნაკვერჩხალი და აურიდა ხალხი მიწას. იდგა მხოლოდ საბრალო გლეხი გულ-ხელ დაკრეფილი უხმოდ და თავისს განადგურებულ სახლ-კარსა და საცხოვრებელს უიმედოდ შეჭყურებდა გულ-დაკოდილი.

სახლ-კარისა და სხვა მოძრავ ქონების გარდა ამ საბრალო გლეხს დასწვა 220 მან. ფულად, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში უგროვებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლ-ქმარსა, რომ შორისა ან ლხინის დროს გამოეყენებინათ. მთელი ზარალი, რომელიც ამ უბედურს გლეხს ცეცხლისაგან მოუვიდა სამას თუმანს (3000 მ.) შეადგენს.

რადგანაც ამ გვარი შემთხვევა განმანადგურებელ, უბედურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მეტადრე-კი ამისთანა უშემწეო წვრილ-შვილისა და ობლების შემნახველ გლეხისათვის, რომელსაც, გარდა საიჯარო მამულისა, ერთი ნაბიჯი საკუთარი მიწაც არ მოეპოვება, ამისათვის მივაქცევ·რა კაცთ-მოყვარე ქართველებისა და საზოგადო დაწესებულებათა ყურადღებას ამ გარემოებას, უმორჩილესად ვთხოვ ყველას, თავიანთი წვლილი არ დაიშურონ და შემწეობა როგორმე აღმოუჩინონ ამ დაღუპულ და განადგურებულ გლეხის ოჯახსა, რომელსაც ამ ჟამად თავ შესაფარიც-კი არა აქვს.

ჩემის მხრივ ვწირავ ხუთს მანეთს. ვსთხოვ ამასთანავე ადგილობრივ გაზ. სხვა რედაქციებსაც; თუ შეიძლებოდეს ეს მცირე მოწოდება თავისს გაზეთებში გადაბეჭდონ.

სოფ. ნაბახტევის მღვდელი იოანე დავიდოვი.

—

ქიზიყი. ეს მეორე წელიწადია, რაც ს. ქვემო-მაჩხაანში ბ-ხის დ. ნადირაძისაგან შეწირულს შენობაში სკოლა არსებობს. პირველს წელიწადს ორმოცამდე მოწაფე ქალი დაიარებოდა, წელს-კი მათმა რიცხვმა ოთხმოცამდე მიაღწია. უადგილობის გამო ბევრმა გულ-ნაკლულმა დედამ გააბრუნა თავისი პატარა ქალი ხსენებულ სკოლიდგან. ქალთა სწავლების მოთხოვნილებაც დღითი-დღე ძლიერდება. სკოლაში ქალები ხელ-საქმესაც სწავლობენ მასწავლებელ ქალისაგან, რომელსაც ჯამაგირი საეპარქიო მთავრობისაგან ეძლევა.

მაზრის მეთვალყურის მღ. დავით იაშვილისა, სკოლის გამგის მღ. იოსებ ტყეშელაშვილისა და მზრუნველის ბ ნ ვასილ ნადირაძის მეცადინეობით მოწვეულ იქმნა გალობის მასწავლებლად მღ. იოსებ ბერიაშვილი, რომელსაც მოკლე დროში ისე კარგად გაუწვრთნია საეკლესიო გალობაში ხსენებულ სკოლის მოწაფე ქალები, რომ 23 აპრილს, ზემო-მაჩხაანში, წმინდა გიორგობის დღეს, ეკკლესიაში მოსწავლე ქალთა გუნდი მღვდლის იოსებ ბერიაშვილის ლოტბარობით მშვენივრად გალობდა. დიდ-ძალი ხალხი იყო მოსული ქიზიყის სოფლებიდგან ტაძრობაზედ დასასწრებად. სიამოვნების კილოთი გაისმოდა მდაბიო მლოცველებში: „ვერ შევრებთ, ანგელოზებივით რო გალობენ ი პატარა გოგოებიო! აბა, ე მაგიტოა ყველაში კარგი ი დალოცვილი სწავლაო"!. 9 მარტს, ორმეოცთ მოწამეთა დღეობა დღესაც, იგივე მოსწავლე ქალთა გუნდი გალობდა.

დიდის მადლობის ღირსია მამა იოსებ ბერიაშვილი, რომ უსასყიდლოდ ეს შრომა მიიღო. იმედია შემდეგშიაც ბეჯითობას არ მოაკლებს და გალობის საქმეს უფრო წინ წასწევს, რომელსაც სარწმუნოებაზე გულ აცრუებულ ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: იქნება კვირა-ქმე დღეებში მაინც მიიზიდოს გალობამ ხალხი ეკკლესიისაკენ.

ხუცესი

უცხოეთი

ჩინეთი. როგორც ნემეცური გაზეთები იუწყებიან, ჩინეთიდგან ჯარების გამოყვანის შესახებ გრაფს ვალდერზეეს ელჩებისათვის შემდეგი წინადადება წარუდგენია:

ვიდრემდის ზღვის პირის სიმაგრეები არ იქმნება დაქცეული, იმ დრომდის ტიან ძინსა და მისს ოლქში 6,000 კაცი უთუოდ უნდა იქმნეს დატოვებული; სახელმწიფოთაგან გერმანიამ, საფრანგეთმა, იაპონიამა და ინგლისმა თითომ 1,400 კაცი უნდა დასტოვოს, ხოლო იტალიამ—400 კაცი. საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი და გერმანია დასტოვებენ აგრეთვე სამას სამას კაცს შანხაი-გუანში და იტალია ერთს როტა ჯარის-კაცებს. იმ დრომდის, ვიდრე უცხოელთა ჯარები ჩინეთში იქმნებიან, სამოქალაქო მოხელენი სამხედრო უფროსებს უნდა ემორჩილებოდნენ, თანახმად იმ პრინციპისა, რომელიც გააგის კონფერენციაზედ იქმნა დადგენილი.

გარდა ამისა, გრაფი ვალდერზეე შემდეგს გარემოებას აქცევს ყურადღებასა: ნამდვილად შეტყობილია, რომ პეკინის მიდამოებში საკმაოდ დიდი ჯარი დგას ჩინელებისა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნილების მიხედვით არის განკარგებულის იარაღით აღჭურვილი.

ჩინეთიდგან ჯარების გამოყვანის შესახებ ყველანი ერთის აზრისანი არ არიან: გერმანიისა, ინგლისისა და იაპონიის ჯარის უფროსების აზრით ჯარების გამოყვანა შეიძლება მაშინათვე, როგორც-კი ჩინეთი სახელმწიფოების მიერ წარდგენილს საერთო ჯამს საზღაურისას მიიღებს. ფრანგებს-კი განზრახვა აქვთ ორის კვირის შემდეგ 7,000 კაცი გამოიყვანონ და ექვსის კვირის შემდეგ-კი მთლად დანარჩენი ჯარიც, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც ადგილობრივს ჩინეთის ჰავას შეჩვეულია. არც იტალიელსა და არც ავსტრიელს ჯარის უფროსებს თავისს მთავრობისაგან ჯერ არავითარი განკარგულება და მიწერილობა არ მიუღიათ. რაც შეეხება გენერალს ჩეფფის, ამას ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამს. რუსების ჯარის უფროსი გენერლების კონფერენციაში არავითარს მონაწილეობას არ იღებს.

სამხედრო გემები პეიხოს მდინარეზედ უნდა იდგნენ და დაიცვან ტაკუში მდგომ საერთაშორისო ფლოტისაკენ მიმავალი გზა. ვალდერზეეს აზრით, სამოქალაქო მოხელეთა მოქმედების კანტროლი სამხედრო უფროსებისაგან უთუოდ აიძულებს ჩინეთის მთავრობას სამშვიდობო პირობები რაც შეიძლება მალე შეასრულოს და ამით არაფრად სასიამოვნო უცხოელთა კანტროლი თავიდგან მოიშოროს როგორმე. ვალდერზეეს აზრითვე აუცილებლივ საჭიროა დაწესებულ იქმნეს მუდმივის მთავარსარდლის თანამდებობა, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს და თუ რომ ახალი უწესოება და არეულობა იჩენს თავს, დაუყოვნებლივ საჭირო ღონისძიებანი იხმაროს, განკარგულება მოახდინოს, როგორ მოიქცნენ. მთავარ სარდალს უნდა ექვემდებარებოდეს აგრეთვე საელჩოთა დარაჯიო.

— როგორც სარწმუნოდ იუწყებიან, იანგშის პროვინციაში ჩინეთის საიდუმლო საზოგადოებანი დიდს მოქმედებას თურმე იჩენენ და ხალხს აღელვებენ. ნანკინში მყოფი ბრიტანიის კონსული დეპეშით აუწყებს მთავარს კონსულს შანხაიში, რომ მეფის მოადგილე ამ მოძრაობის გამო დიდად დაფიქრებულიაო.

ოსმალეთი. კონსტანტინეპოლიდგანა სწერენ „Times"-ს, რომ საქმეთა მდგომარეობა ამ ჟამად იემენში ბევრად საშიში და განწვავებულია, ვიდრე ეს დღემდის ეგონათ. საქმის მეთაურთ, ესე იგი აჯანყებულთ განზრახვა აქვთ სულთანს ხალიფობა ჩამოართვან, იგი დიდის წინასწარმეტყველის ჩამომავალთ გადასცენ და არაბეთის სამეფო კვლავ აღადგინონ. მაჰმადის ერთმა ასეთმა შთამომავალმა (თავისს თავს იგი ასრე ეძახის) მრავალი თანამოაზრე და თანამგრძნობელი შეჰყარა, ამათის დახმარებით ოსმალეთის ჯარი დაამარცხა და დაიჭირა ციხე ესახლი, რომლის მცველი ჯარიც მთლად თურმე გასწყვიტა. დაიჭირა თუ არა ეს ციხე, დიდმა შთამომავალმა დიდის წინასწარმეტყველისამ თავი თვისი ხალიფათ თურმე გამოაცხადა.

არაბთა ასეთი აგიტაცია და მღელვარება შემთხვევით და განკერძოებულ მოვლენათ არ უნდა იქმნეს მიღებული და არც ისე ადვილათ დასაძლევია იგი უცბად შემდგარის საწინააღმდეგო ექსპედიციით, როგორც ეს დღემდის ეგონათ ოსმალეთში. აგიტაციამ ფესვი ღრმად გაიდგა და მას მხარს უჭერს მუსლიმთა ერთი ძლიერი საიდუმლო საზოგადოება, რომლის მთავარი ბინაც ქაირშია, ხოლო განყოფილება მისი დამასკუსა და მეკკაში. საზოგადოებას ეწოდება „ჯემიეთ-უზ-ისლამიეთ" და აზრადა აქვს აღადგინოს არაბთა იმპერია და ხალიფობა წინასწარმეტყველის მაჰმადის ჩამომავალთ გადასცეს. საზოგადოებამ თავისი დელეგატები გაგზავნა მეკკაში, სულ არაბთა წარჩინებულ ოჯახებიდგან, რომ ეს მათი ახალი მოძღვრება მეკკის მლოცველთა შორის იქმნეს გავრცელებულიო".

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ბულონში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთის ლონდონურ გაზეთის რედაქტორი საოცრადა ჰგავს თურმე მეფე ედუარდს. ამას წინად თურმე ეს რედაქტორი ერთ საუკეთესო რესტორანში შესულა. ცოტა ხანს უკან შეუმჩნევია, რომ ყველა იმას აქცევდა ყურადღებას და საზოგადოდ რესტორანში რაღაცა არა ჩვეულებრივი აღელვება სუფევდა. რედაქტორს ისე შერცხვა თურმე, რომ წასვლა დაუპირებია, მაგრამ ამ დროს მახლობელ სტოლზედ მჯდარს ხმა მაღლა დაუყვირია „გაუმარჯოს ინგლისსაო", მალე სხვებსაც მიუცია ბანი და რესტორანში ერთი ყვირილი ამტყდარა. ორკესტრსაც ინგლისელთა საერო საგალობელი დაუკრავს. ისეთი ხმაურობა იყო თურმე, რომ რედაქტორის ხმა სულ არ ისმოდა; რომ ვერაფერი გაუწყვია, წამომხტარა და გარედ გავარდნილა.

* * *

როგორც უკანასკნელად შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, (ეს ცნობები დაბეჭდილია „Revue de l'Islam"-ში), მაჰმადიანთა რიცხვი მთელ დედამიწის ზურგზედ 300 მილიონ სულამდე უწევს. აქედგან ევროპაში სცხოვრობს:

ოსმალეთი	2,500,000
ბოლგარია და რუმელია	668,173
ბოსნია და ჰერცოგოვინა	492,710
საბერძნეთი	24,165
ჩერნოგორია	14,000
სერბია	18,000
რუმინია	2,000
ევროპ. რუსეთი, კავკასია და ციმბირი	7,000,000
სულ ევროპაში	10,719,448
აზიაში:	
ანატოლია	11,801,485
კრიტი	88,487
სირია და პალესტინა	1,000,000
გეჯასი და იემენი	1,050,000
არავია	12,000,000
სპარსეთი	9,000,000
ავღანისტანი	4,000,000
ბელუჯისტანი	500,000
ინდოსტანი	58,000,000
ინდო-ჩინეთი	6,000,000
ჩინეთი	21,000,000
აღმოსავლეთი თურქესტანი	2,000,000
ავღანის თურქესტანი	950,000
მერკი	1,000,000
ბუხარა	2,130,000
ხივა	700,000
რუს. თურქესტანი	2,220,000
სულ აზიაში	133,439,972
აფრიკაში:	
ეგვიპტე	6,560,000
აღმოსავ. სუდანი	10,834,000
ტრიპოლი	1,000,000
ტუნისი	2,000,000
ალჟირი	3,500,000
მაროკკო	8,000,000
საჰარა	500,000
ვადაი	2,600,000
ბორნუ	5,000,000
სოკოტო	4,000,000
მასენნა	1,000,000
საფრ. სუდანი	4,000,000
სენეგამბია	168,000
ზემო გვინეია	15,000,000
საფრ. და დამოუკ. კონგო.	20,000,000
უგანდა	5,000,000
უნიორო	500,000
კაპი	12,000
მოზამბიკი	350,000
აღმოს. გერმ. აფრიკა	800,000
ზანზიბარი	300,000
გალლა	8,000,000
ხომალი	1,000,000
ერიტრეია	200,000
სულ აფრიკაში	100,324,000
კუნძულებზედ:	
მადაგასკარი	300,000
სოკოტრა	12,000
კომორენი	80,000
ამირანტი და სეიშელი	15,000
მასკარენი	300,000
სუმატრა	6,250,000
ბორნეო	2,020,000
მალაკია	400,000
იავა	24,500,000
ცელებესი, ტიმორი, მოლლუკკი	1,300,000
სუმბა, ფლორესი და სხვ.	1,855,000
ფილიპინები	360,000
სულ კუნძულებზე	37,742,000

ხოლო ერთად მთელ დედამიწის ზურგზედ 282,224,420 სული. აქედგან მაჰმადიან სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი 94,696,310 კაცია, დანარჩენნი—187529100 ქრისტიანთა სახელმწიფოში სცხოვრობენ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრის მიმართ: „სასარგებლოდ ვცანით თქვენ მიერ წარმოდგენილი და ფინანსთა კომიტეტის მიერ განხილული პროექტი ახალის სესხის აღების შესახებ ხაზინისათვის იმ ფულის დასაბრუნებლად, რომელიც 1900 წელს სესხად მიეცა რკინის გზის საზოგადოებებს და რომლიდგანაც სესხი მიმდინარე წელსაც უნდა მიეცეთ; ამიტომ გიბრძანებთ გამოსცეთ 4% სესხი სულ 424 მილიონ ფრანკისა (159 მილიონ მანეთისა) შემდეგის პირობებით: 1) ეს სესხი ჩაიწერება სახელმწიფო ვალების დავთარში და დაერქმევა „რუსეთის 4%-იანი კონსოლიდიური რენტა"; 2) ეს სესხი გაიყოფა 53 სერიად, თითო სერია 8 მილიონ ფრანკის (3 მილ. მ.) ღირებულობისა იქნება; 3) ამ სესხის ობლიგაციები გაიცემა უსახელოდაც და სახელის წარწერითაც; თითო ობლიგაცია ღირს 500, 2,500 და 12,500 ფრანკად, ხოლო ყოველი 500 ფრანკი უნდა იანგარიშებოდეს 187 მან. 50 კაპეიკად, 404 გერმანულ საიმპერიო მარკად, 19 გირვ. სტერლ. 15 შილინგ. და 6 პენსად, 239 ჰოლანდიურ ჰულდენად და 96,25 ოქროს დოლარად. რაც ამ სესხიდგან წმინდა მოგება [illegible] იქიდგან თქვენ უნდა დაუბრუნოთ სახელმწიფო ხაზინას ის ფული, რომელიც მიეცა სესხად რკინის გზის საზოგადოებებს 1900 წელს, და აგრეთვე ამ გვარივე სესხი 1901 წელსაც უნდა გაიცეს.

ლონდონი. „Times"-ს დეპეშით ატყობინებენ პინაარსრივერიდგან, რომ 1,500 შეიარაღებული ბური დაჰმორჩილდნენ, ან ტყვედ იქმნენ წაყვანილნი ინგლისელების მიერო. პიტერსბურგი წაართვეს ბურებს. კორესპოდენტი მეტად აქებს სამხედრო მატარებლებს, რომლებიც დაუფასებელია პარტიზანულ ომისათვისაო.

„Daily Mail"-ს ატყობინებენ კობედგან, რომ კორეის მთავრობა არ ამტკიცებს საფრანგეთის სესხს და სეულ ვიტსუმს რკინის გზის შესახებ ხელ-შეკრულობასაო.

სალისბიური ლონდონში დაბრუნდა.

ბარცელონა. წესიერება აღდგენილ იქმნა; ჯარი კაზარმებში დაბრუნდა.

პეკინი. დღეს ჩინელებს შეატყობინეს, რომ იმათგან სულ 450 მილიონ ტაელს თხოულობენ საზღაურადაო. ჩინელ მოხელეთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ამ საზღაურის გასასტუმრებლად საჭიროა ჩინეთმა ფული ისესხოს, ხოლო ეს სესხი სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველ ჰყონ და 50 წლის განმავლობაში უნდა გადახდილ იქმნას. სხვანი ჰფიქრობენ, რომ უსესხოდაც შეიძლება საზღაურის გადახდა ხუთის წლის განმავლობაშიო. იმპერატორის სახლობას მსჯელობა აქვს იმ საგნის თაობაზე, თუ ყოველს წელს საიდგან შეიკრიბოს 20 მილიონით მეტი შემოსავალი. ამასთანავე ჩინეთის რწმუნებულებს ებრძანათ, რომ ბეჯითად მოითხოვონ საზღაურის ჯამის შემცირება. საზღაურად მოთხოვნილია მხოლოდ იმდენი ფული, რაც ივნისამდე სამხედრო ხარჯს დაჰფარავს. ელჩების კრებამ გადასწყვიტა აუხსნას ჩინელებს, რომ საზღაურის ჯამი ნამდვილ ხარჯს არ აღემატებაო.

ვალქი. პროტესტანტთა სარწმუნოების მქადაგებელნი პლიამში და და ვილდე თანამდებობიდგან გადააყენეს, რადგანაც მათ საეკლესიო წესები შეუსრულეს მართლ მადიდებელ სარწმუნოების პირებს.

ლებედიანი. 27 აპრილს ქალაქის მიდამოში მდებარე სოფელ სტრელეცკაიაში 50 სახლი დაიწვა.

29 აპრილი

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრისადმი უმაღლესი სახელობითი ბრძანების დანარჩენი მუხლები: „IV. სახელ-დადებულ ობლიგაციების წესების შედგენის, მათის გადაცემ-გადმოცემისა და მათი უსახელო ობლიგაციებზე გაცვლის საქმე თქვენა გაქვთ მონდობილი; V. ობლიგაცია წელიწადში 4 პროც. სარგებელს იძლევა, რომელსაც ობლიგაციის პატრონი მიიღებს სამ თვეში ერთხელ; პროცენტების ანგარიში დაიწყება 1901 წლის 19 მაისიდგან (1 ივნისი ახ. სტილით); VI. 1916 წლის პირველ იანვრამდე (14 იანვრამდე) არ მოხდება არც გამოსყიდვა, არც გაბათილება ამ ობლიგაციებისა; ამ დღიდგან-კი გამოცემულ ობლიგაციების გაბათილება

შეიძლება ზედ დაწერილ ფასად, სრულად ან ტირაჟის მოხდენით, მთელ სერიებად, იმ პირობით კი, რომ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ობლიგაციების გამოსყიდვა გამოცხადებულ იქმნას არა უგვიანეს სამი თვისა კუპონის ვადამდე; ამასთანავე ერთად გარდახდილ იქმნება გამოსყიდული სერიების თანხა; VII. ობლიგაციების კუპონები არა ჰკარგავენ ძალას 10 წლის განმავლობაში მათის გამოსყიდვის ვადის შესრულების დღიდგან, ხოლო ობლიგაციები 30 წლის განმავლობაში — მათის თანხის გადახდის ვადის შესრულების დღიდგან; VIII. სესხის პროცენტისა და გასაბათილებელ ობლიგაციების თანხის გადახდა მოხდება: პეტერბურგში მანეთობით — სახელმწიფო ბანკში, პარიჟში ფრანკებით, ბერლინში—საიმპერიო გერმანულის მარკებით, ლონდონში — სტერლინგით, ამსტერდამში — ჰულდენებით და ნიუ-იორკში — ოქროს დოლლარით, თქვენ მიერ დანიშნულ ადგილებში; IX. ობლიგაციები განთავისუფლებულნი არიან ყოველნაირ რუსეთის გარდასახადისაგან; X. ობლიგაციები მოთავსებული იქმნება თქვენ მიერ აღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებებში; XI. ახლად გამოცემულ „რუსეთის 4 პროც. კონსოლიდიურ რენტის“ უფლებანი და უპირატესობანი, მათი გირაოდ მიღებისა, საბაჟო გარდასახადის უზრუნველყოფის შესახებ თქვენ მიერ აღნიშნებიან სესხის გამოცემის დროს.“

უმაღლესი დათვალიერება ჯარებისა მოხდება მარსის მოედანზე პირველ მაისს.

გენ.-ლეიტ. ვოლკოვის დეპეშა 24 აპრილს პორტ-არტურიდგან: „15 მარტიდგან 15 აპრილამდე გენ.-ლეიტ. ცერპიცკისა და პოლკოვნიკ გრიაზნოვის რაზმებში დასჭრეს: ყაზახთა ზემო-უდინის პირველ რაზმის პოდესაული ლეპეშკინი; მე 15 აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა რაზმის შტაბს-კაპიტანი შმიდტი და პორუჩიკი გირსი და პორტ-არტურის მეციხოვნე რაზმის კაპიტანი ონისკი. ამათში პოდესაული ლეპეშკინი გარდაიცვალა. დაშავებულია: მე-15 აღმ. ციმბირის რაზმის პოდპოლკოვნიკი გარბაჩევიჩი და პოდპორუჩიკი ჩენცევი. ჯარის-კაცი 16 მოჰკლეს და 37 დასჭრეს.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდგან დეპეშით იუწყება: „22 აპრილიდგან სხვა-და სხვა რაზმებმა მოჰკლეს 28 ბური, დასჭრეს 6 და ტყვედ წაიყვანეს 130, დაგვმორჩილდა 183, დავლად ავიღეთ ბევრი სამხედრო მასალა, 230 პოვოზკა, 1500 ცხენი და ბევრი სანოვაგე“.

კონსტანტინეპოლი. პორტა დაბეჯითებით ამბობს, რომ ფოსტა კონტრაბანდას უშვებდაო და ამიტომ მის გაუქმებას თხოულობს. ელჩები უარს აცხადებენ ამ მოთხოვნილებაზედ. საფრანგეთის გემმა „კონგომ“ არ მიიღო ოსმალეთის ბარგი სირიაში გასაგზავნად. საფრანგეთის ელჩმა მისწერა ორივე საფრანგეთის გემს, რომ ისინი ყოველ შემთხვევაში მზად იყვნენ. ბასორაში კიდევ 3 კაცი გახდა ავად შავის ჭირით.

30 აპრილი

პეტერბურგი. 29 აპრილს, ხელმწიფე იმპერატორის ქალაქს ოტსუში ხსნის ათის წლის შესრულებისა და დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის დაბადების დღეს ისაკის სობოროში სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი.

გროდნა. ბრესტში ,ცეცხლი ჯერ კიდევ უკიდია, ძლიერი ქარი ჰქრის; ქალაქის უკეთესს ნაწილში ასზედ მეტი სახლი დაიწვა. ბელოსტოკიდგან ცეცხლის მქრობელი რაზმი იქმნა გამოწვეული. ფოსტა ტელეგრაფის კანტორა დაიწვა.

ტვერი. საპატიმროში მყოფმა მადნებში სამუშაოდ გასაგზავნმა მოროზოვმა, რომელიც ფოსტალიონის მოკვლისა და ფოსტის გაძარცვისათვის იქმნა დასჯილი, დაახრჩო საპატიმროს ზედამხედველი იმ დროს, როცა იგი დასჯილის ოთახში შევიდა და მოკლულის ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა, უთუოდ იმ განზრახვით, რომ გაქცეულიყო მაგრამ მეორე ზედამხედველმა დროზედ შეჰნიშნა; მოროზოვი ეცადა ესეც დაეხრჩო; შემდეგ მოროზოვი რევოლვერით ხელში თავისს ოთახში ჩაიკეტა, სადაცვე იმყოფებოდა მოკლულის ზედამხედველის გვამი. მთელის დღე-ნახევრის განმავლობაში მოროზოვი წინააღმდეგობას უწევდა და მხოლოდ მაშინ-და დაჰმორჩილდა, როდესაც წყურვილმა დიდად შეაწუხა.

ბარსელონა. მშვიდობიანობა და წესიერება აღდგენილ იქმნენ.

მადრიდი. გენერალი ველიერი იმ აზრის მომხრეა, რომ კატალონის თვითმმართველობა მიენიჭოს.

სევილია. ტრამვაის ვაგონმა ერთს ბავშვს ზედ გადაუარა და ფეხი მოსტეხა; ბრბო ამისა გამო დიდად აღელდა და უწესოება მოახდინა.

იოკოჰამა. იაპონიის პოლიტიკური მდგომარეობა ჯერ ისევ ერთს წერტილზეა გაყინული. გაზეთების აზრით, თუ რომ იტო წინააღმდეგობას განაცხადებს და კაბინეთის მოთავეთ არ დარჩება, მაშინ იგი იძულებული იქმნება დასის ხელმძღვანელობაზედ უარი განაცხადოს, რადგანაც უმისოდ კონსტიტუციონური სამინისტრო მტკიცე ნიადაგს მოკლებული იქნება.

პოლტავა. კიევსა და პოლტავას შორის პირდაპირი რკინის გზის მომოსვლა დაიწყო.

ნოვოროსსიისკი. მთელის ორის დღის განმავლობაში შეუწყვეტელმა ძლიერმა ქარიშხალმა გემების მოძრაობა შეაყენა.

* * *

ანგარიში

სოფ. მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი.

მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდა 26 დეკემბერს 1899 წელს. დაარსებიდგან დღემდე მას განაგებს მოსე ან. მეგრელიძე (სკოლის ზედამხედველი).

1901 წლის 5 აპრილს სარევიზიო კომისიამ განიხილა წიგნთ-საცავის ანგარიში, საიდგანაც აღმოჩნდა შემდეგი: შემოსავალი ყოფილა: საწევრო ფულად—87 მანეთი, შემოწირულება სხვა-და-სხვა კეთილის-მყოფელთაგან შეგროვებული—184 მან., წარმოდგენიდგან—32 მანეთი.

სულ 303 მან.

დახარჯულა: სახლის აშენებასა და სამკითხველოს მოწყობაზედ—130 მან., წიგნების ყიდვაზედ —53 მან. 50 კაპ., ყდაში ჩასმა წიგნებისა—12 მან., სხვა-და-სხვა ხარჯი—20 მან., ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზედ—70 მან. და 50 კაპ.

სულ 285 მან.

რჩება ნაღდი ფული 17 მან.

წიგნთ-საცავი იღებს „ივერიას“, „ცნობის ფურცელს“, „მოამბეს“, „კვალს“ „ჯეჯილს“, „Новое Обозрѣніе“-ს, და „Черноморскій Вѣстникъ“ ს.

სარევიზიო კომისიის წევრნი:
ვ. მ. ჩხაიძე,
მღვ. რ. მეგრელიძე,
ირაკლი ანდ. ხომერიკი.

* * *

განცხადებანი

ანდრეევსკის ქუჩაზედ, № 23

ისყიდება საწვრიმალო დუქანი

საქონელი თავისის გამართულობითა და მოწყობილობით. ფასი 350 მანეთამდეა. მსურველს შეუძლიან მოელაპარაკოს დუქანში პატრონს. (5—112—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1 მაისს, შუადღის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის პირველ ნაწილში ტერ გუკასოვის ქუჩის დაგებისა და მოკირწყვლის საქმე. სამუშაო 1868 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიან პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დღის 3-დგან 9 საათამდე. (2—6.—2)

16 მაისს, 1901 წელს, საღამოს 8 საათზედ, **სომეხთა ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველოს საბჭოში მოხდება**

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიყიდება სემინარიის კუთვნილი ორ სართულიანი სახლი. ეს სახლი მე-5 ნაწილშია, კუთხის ქუჩაში. მიწა სახლ ქვეშ 26 ოთხკუთხი საჟენია. მამული 2,000 მანეთადაა დაფასებული და ვაჭრობაც ამ თანხიდგან დაიწყობა.

(3—111—2)

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შხტა“-სი

აუწყებს ამ ამხანაგობის პაის პატრონთ, რომ მესამე ვადა 10%-ს შესატანისა, ე. ი. 10 მანეთისა თვითეულს პაიზედ, დანიშნულია 11-დგან 21 მაისამდე. ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ პაის კვიტანციები. ამასთანავე მოვაგონებთ პაის პატრონთ საამხანაგო ხელშეკრულების მე-7 §-ს. ამხანაგობის კანტორა ერევნის მოედანზეა, ხარაზოვის სახლში.

(4—116—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, უმაღლესად 1899 წლის 28 იანვარს დამტკიცებულ მინისტრთა კომიტეტის დებულების თანახმად, ტფილისის ქალაქის საბჭო გამოსცემს ქალაქ ტფილისის მესამე სესხის ობლიგაციებს ფას-დარქმევით 800,000 მანეთისას 100 და 1000 მანეთის ღირებულობისა, რომელსაც 5% შემოაქვს, რომლიდგანაც დაჭერილი იქმნება თანხათა შემოსავლის გარდასახადი. ობლიგაციის მყიდველს შეუძლიან ობლიგაცია მიიღოს თავის სახელობაზედ ანუ უსახელოდ. ობლიგაციების ტირაჟი მოხდება 1901 წლის 1 ლ აგვისტოდგან დაწყებული 25 წლის განმავლობაში ყოველს 6 თვეზედ, ხოლო ტირაჟში გამოსულ ობლიგაციაზედ ფასდადებულ ფულის მიღება შეიძლება ყოველ 3 თვეზედ ტირაჟის შემდეგ. ობლიგაციასა და კუპონებზედ ფულის მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობასა და იმ ადგილებში, რომელნიც დასახელებულ იქმნა გამგეობის მიერ ცალკე განცხადებაში.

ამ ობლიგაციათა ერთის ნაწილის —200 ათას მანეთის—განაღდება საჯარო ხელმოწერით მოხდება შემდეგის პირობებით: 1) ობლიგაციებზედ ხელის მოწერა მიიღება ქ. ტფილისში ქალაქის გამგეობაში, ტფილისის საკომერციო ბანკსა და საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, კვირა-უქმეებს გარდა, 3-დგან 8 მაისამდის, ამ დღითურთ; 2) 100 მანეთიან ფას-დადებულ ობლიგაციაზედ ხელის-მომწერს გარდახდება 91 მან. 50 კაპ.; 3) ხელის-მოწერის დროს ამ თავით ხელის მომწერმა გირაოსავით უნდა შეიტანოს 10% გარდასახადი ფულისა; 4) თუ ობლიგაციის შეძენის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ 200,000 მან. ობლიგაციაზედ მეტზედ მოაწერეს ხელი, მაშინ ისინი, ვინც 2,000 მანეთის მეტს ობლიგაციებს არ მოინდომებს, სავსებით იქმნება დაკმაყოფილებული, ხოლო 2000 მანეთზედ მეტის ხელის-მომწერთა შორის კი დანარჩენი ობლიგაციები პროპორციონალურად იქმნება განაწილებული, მხოლოდ ისე-კი, რომ თვითეულს 2000 მანეთისაზედ ნაკლების ობლიგაციები არ მიეცეს. დანარჩენი 90%, ხელის მომწერზედ დარჩენილი, უნდა გარდახდილ იქმნეს არა უგვიანეს 1901 წლის 15 მაისისა და ამ ფულის შეტანის-თანავე ობლიგაციებიც მიეცემა. 6) თუ 1901 წლის 15 მაისამდის არ შეიტანა ხელის მომწერმა მასზედ დარჩენილი ფული, იგი ჰკარგავს შეტანილ გირაოს მიღების უფლებას, რომელიც ქალაქის სასარგებლოდ რჩება; 7) შეძენილ ობლიგაციებს სარგებელი ეთვლებათ 1901 წლის პირველ მაისიდგან. (2—6.—1).

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ცრიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—42)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—53)

„წერა-კითხვის საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში იყიდება
მდეგი წიგნები:

ქამუშაძის გაჭირვება დ. კლდიაშვილისა . . . . .
მცხეთელი ანრია . . . .
ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძისა
ლექსები გაბრუაშვილისა . .
ბუნების საოცარი მოვლენანი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30-го Апрѣля 1901 г.

სტამბა მ. შარაძის და ამხ.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.